საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი

## 2024 IV კვარტალი



18.03.2025
www.geostat.ge

18.03.2025

## დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (2024 წლის IV კვარტალი)

2024 წლის IV კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8.5 პროცენტით (173.0 ლარით) გაიზარდა და 2 217.5 ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2019-2024 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №1

### საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი კვარტალების მიხედვით

(ლარი)



საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

- ინფორმაცია და კომუნიკაცია – 4 008.3 ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 7.0 პროცენტით);
- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები – 3 373.5 ლარი (გაიზარდა 8.5 პროცენტით);
- მშენებლობა - 3 361.8 ლარი (გაიზარდა 9.8 პროცენტით);
- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები – 3 259.1 ლარი (გაიზარდა 11.6 პროცენტით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო თვიური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2023-2024 წლების IV კვარტალში.

დიაგრამა №2

**საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით, 2023-2024 წლების IV კვარტალში**

(ლარი)



2024 წლის IV კვარტალში ქალების საშუალო ხელფასი 1 778.5 ლარით, ხოლო კაცების - 2 653.8 ლარით განისაზღვრა. ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებში 171.2 ლარი (10.7%) შეადგინა, ხოლო კაცებში - 189.9 ლარი (7.7%). საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების ხელფასი ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების ხელფასს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი სქესობრივ ჭრილში, 2019-2024 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №3

## საშუალო თვიური ხელფასი სქესის მიხედვით
(ლარი)



18.03.2025

2024 წლის IV კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 170.8 ლარით (7.8%) გაიზარდა და 2 367.0 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაცია და კომუნიკაციის (4 078.2 ლარი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 7.7 პროცენტით) და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (3 663.5 ლარი, გაიზარდა 8.0 პროცენტით) სფეროებში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2019-2024 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №4

**ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი**

(ლარი)



2024 წლის IV კვარტალში არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში საშუალო თვიური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 189.7 ლარით (10.7%) გაიზარდა და 1 955.4 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი საშუალო ხელფასი აქვთ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში დასაქმებულებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი, 2019-2024 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №5

**არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი**
(ლარი)



საშუალო ხელფასის სიდიდის მიხედვით რეგიონებში ლიდერობს ქ. თბილისი და მცხეთა-მთიანეთი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი რეგიონების მიხედვით, 2024 წლის IV კვარტალში.

დიაგრამა №6

**საშუალო თვიური ხელფასი რეგიონების მიხედვით***
(ლარი)




*ზოგიერთი საწარმო და ორგანიზაცია წარმოდგენილია სათაო ოფისის ადგილმდებარეობის მიხედვით.

## შენიშვნები

რელიზში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ევროპულ სტანდარტს **NACE rev.2.**

სექციების დასახელებები:

| | |
|---|---|
| **A** | სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა |
| **B** | სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება |
| **C** | დამამუშავებელი მრეწველობა |
| **D** | ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება |
| **E** | წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები |
| **F** | მშენებლობა |
| **G** | საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი |
| **H** | ტრანსპორტი და დასაწყობება |
| **I** | განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები |
| **J** | ინფორმაცია და კომუნიკაცია |
| **K** | საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები |
| **L** | უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები |
| **M** | პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები |
| **N** | ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები |
| **O** | სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება |
| **P** | განათლება |
| **Q** | ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები |
| **R** | ხელოვნება, გართობა და დასვენება |
| **S** | სხვა სახის მომსახურება |

**საკონტაქტო პირები:**

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge